



## ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 697  
05/04/2018

ქალაქი ბათუმი

697-05-4-201804051615



**„ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების მდგომარეობის შემსწავლელი ადგილობრივი კომისიის შექმნის შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 29 ნოემბრის №2503 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე-ე“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების მდგომარეობის შემსწავლელი ადგილობრივი კომისიის შექმნის შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 29 ნოემბრის №2503 ბრძანებაში შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

ა) ბრძანების პირველი პუნქტის „გ“, „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) ანა ბაჟაშვილი - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ქონების მართვის განყოფილების უფროსი - (კომისიის მდივანი);“.

„ვ) გიორგი ბერიძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსის მოვალეობის დროებით შემსრულებელი (კომისიის წევრი);

„ზ) დავით ვარშანიძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ზედამხედველობის სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის მუნიციპალური მშენებლობის ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებელი - კომისიის წევრი;

ბ) ბრძანების პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი ამოღებული იქნას.

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის. ქალაქი ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი

ხელმძღვანელობა

A handwritten signature in blue ink, consisting of stylized Georgian letters, is positioned at the top right of the page.